შვეიცარია

- სახმელეთო ამანათის საქართველოში გამოსაგზავნად მიღება ხორციელდება ქალაქ **ლოზანაში** არსებულ შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის გაცემის ოფისში.
- შვეიცარიიდან საქართველოს მიმართულებით სახმელეთო ამანათის **გაგზავნის ღირებულება** დგინდება აგენტის მიერ.
- სახმელეთო ამანათის შვეიცარიიდან საქართველოს მიმართულებით გაგზავნა ხორციელდება **ორშაბათ დღეს.**
- სახმელეთო ამანათის საქართველოში ტრანსპორტირების ვადაა გამოგზავნიდან **არაუმეტეს 5-8 სამუშაო დღე.**
- გამგზავნს უფლება არ აქვს გააგზავნოს ის ნივთები და საქონელი, რომელთა გაგზავნაც **აკრძალულია** როგორც გამგზავნი, ისე ტრანზიტული და საქართველოს კანონმდებლობით. სახმელეთო ამანათით ასევე იკრძალება მსხვრევადი ნივთების (მათ შორის ტელევიზორი; ჭურჭელი და სხვა) გაგზავნა;
- გზავნილის **სათანადოდ შეფუთვაზე** პასუხისმგებელია გამგზავნი. გზავნილი უნდა შეიფუთოს იმგვარად, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის დაზიანება ტრანსპორტირების დროს, აგრეთვე ასეთმა შეფუთვამ არ უნდა დააზიანოს სხვა გზავნილები ტრანსპორტირების დროს და არ უნდა შეუქმნას პრობლემები პირებს, რომლებიც განახორციელებენ გზავნილების შემდგომ დამუშავებას, ტრანსპორტირებას თუ დასაწყობებას.
- სახმელეთო ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება გზავნილზე დატანილი ადრესატის მისამართის/ინდექსის მომსახურე სერვისცენტრებსა და კონტრაქტორ ოფისებში.

  გთხოვთ გაითვალისწინოთ, შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს, შეცვალოს ამანათის ჩაბარების ადგილი და ის გააგზავნოს იმავე რეგიონის/რაიონის/უბნის ფარგლებში არსებულ სხვა სერვისცენტრსა თუ კონტრაქტორ ოფისში.

- **შვეიცარიაში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის მისამართი და სამუშაო საათები:**

N.	აგენტის ოფისი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები
1.	ლოზანა	CHEMIN DES LYS 14 ZIP CODE -1010	+41779916106 +995 555155511 (Viber.Whatsapp)	**ორშაბათი**- 8:00სთ-დან-12:00სთ-მდე **სამშაბათი** - 8:00სთ-დან-18:00სთ-მდე **ოთხშაბათი** - 8:00სთ-დან-18:00სთ-მდე **ხუთშაბათი** - 8:00სთ-დან-18:00სთ-მდე **პარასკევი** - 8:00სთ-დან-18:00სთ-მდე **შაბათი**-8:00სთ-დან-12:00სთ-მდე **კვირა**- 8:00სთ-დან-12:00სთ-მდე